საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამთვიური განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 50
ოთხშაბათი, ოქტომბრის 19
1921 წ.

გაუნელებელი დედა დარო, ძმა ივანე და დები: სარა და ნინა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ და მეგობრებს დაუვიწყარის

## პაშა მელაძის

გარდაცვალებას.

## ბორჯომის წყალი

**დ. ქებაძის** კანტორაში განახლებულია ბორჯომის წყლის ჭიქობით გაყიდვა, რომელიც ძლიერ ხელსაყრელია დიეტისათვის. თითო ჩაის ჭიქა იყიდება 1000 მ. ამავე კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). იყიდება 13 დიდი ღვინის ბოჭკა; ამ დღეებში მოელიან ფეხსაცმელებს, რომელიც გაიყიდება ხელსაყრელ ფასებში.

## ქართული სამხედრო სკოლა

ეუწყება რესპუბლიკის ყველა მშრომელთ, რომ ტფილისში, რუსთაველის პროსპექტზე (ყოფ. გოლოვინის პროსპ. № 4) ყოფილ პირველ გიმნაზიის შენობაში, მოთავსებულია ქართველ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლა. (სამხედრო მეთაურთა კურსები ჯარის ყველა დარგისათვის) სკოლას მიზნად დასახული აქვს მომზადება იმ პირთა, რომელნიც დაინიშნებიან ოცის თავად ქვეითა, არტილერიის, ცხენოსან ანუ საინჟინერო სამწყობრო ნაწილებში. სკოლაში მიიღება განათლებით როგორც საზოგადო აგრეთვე სპეციალი (სხვა და სხვა ჯარის დარგისათვის) სამხედრო საქმეში შემდეგ განვითარებისათვის. სკოლა იყოფა ორ კურსად: უმცროსი და უფროსი. სკოლაში მოსწავლენი იწოდებიან კურსანტებად და სარგებლობენ ყველა უფლებით: უმცროს კურსზე მყოფნი—თავმდეგის და უფროს კურსზე კი—ოცის თავის თანაშემწისა.

სკოლაში შესვლა შეუძლიან ყველა მშრომელს არა ნაკლებ 18 სა და არა უმეტეს 28 წლისას, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

უმცროს კურსზე მიიღებიან უმთავრესად პირველ დაწყებითი სკოლის არა ნაკლებ სამ კლას დამთავრებულნი, მხოლოდ პოლიტიკურად განსაკუთრებულ რეკომენდაციით აღჭურვილნი მიიღებიან უფრო ნაკლები ცენზითაც. სპეციალურ განყოფილებებში (არტილერიის და საინჟინერო) მიიღებიან არა ნაკლებ საშუ. გიმნაზიის 4 კლასის ცენზით. უფროს კურსზე მიიღებიან მხოლოდ ისინი ვინც გამოცდას ჩააბარებენ უმცროს კლასის კურსზე.

სკოლაში შესვლის მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სკოლის უფროსის სახელზე პირველ ნოემბრამდე. განცხადებასთან დართული უნდა იყოს: მიღებულ განათლების მოწმობა და პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მოწმობა, ან პარტიულ იაჩეიკის, ან რევკომის, ან პროფკავშირის ან და პარტიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი სათანადო ბეჭდით დადასტურებული.

ჯარის ნაწილთა უფროსნი, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა გამოუგზავნიან სკოლის უფროსს იმ წითელ არმიელთა სიას, რომელნიც აკმაყოფილებენ სკოლაში მისაღებ პირობებს. ასეთი პირნი უნდა გამოიგზავნონ სკოლაში პირველ ნოემბრისათვის.

ყველა შემსვლელი სკოლაში გაისინჯებიან ჯანმრთელობის მხრით, სამოსწავლო კომისიაში განათლების მხრით და სამანდატო კომისიაში პოლიტიკური მხრით. ყველა მიღებული სკოლაში ითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. სკოლაში სწავლის ვადა ორი წელიწადია. სკოლაში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, სპეციალ სამხედრო საგნებს და სამწყობრო მეცადინეობას. სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ენაზე. წარმატებით სწავლა დამთავრებული კურსანტები დაინიშნებიან ოცის თავის თანამდებობაზე სამწყობრო ნაწილში: ქვეითა, ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო და მიიღებენ სახელმწიფოს ხარჯით სამხედრო მეთაურთათვის დაწესებულ სრულს კომპლექტს: ტანსაცმელს, თეთრეულს, მოკაზმულობას და იარაღს.

საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების სამმართველო.

## ერთა ლიგაში

ბურჟუაზიამ ყურები გამოუყრუა მთელს კაცობრიობას იმის შესახებ რომ მან შექმნა „ჰუმანიზმისა“ და „კაცთმოყვარეობის“ ქვეყნად განმახორციელებელი ორგანო—ერთა ლიგა. უმანკო სისხლით გასვრილ ბურჟუაზიას არ დაუზოგავს არც ერთი საშუალება იმის დასამტკიცებლად, რომ მას მარტო ომი და უდანაშაულოთა ჟლეტა არ შეუძლია, რომ მისი მომავალი, შემოქმედების საფუძვლები სათნოებისა და კაცთმოყვარეობით არის ფენილი, ბურჟუაზია უკვე თვითონვე გვარწმუნებდა, რომ ერთა ლიგა მისი მორალის საუკეთესო გამომხატველია, მისი ზნეობის გამსახიერებელია. ჩვენ უფლება არ გვაქვს მისი რწმუნება ყურად არ ვიღოთ და არ ვუთხრათ ჩვენ მშრომელ ხალხს: თვალყური ადევნე ერთა ლიგის ყოველ ნაბიჯს, ყოველ გადაწყვეტილებას და მაშინ გაეცნობი, თუ როგორია გადაგვარებული კლასის ზნეობრივი დონე და ადამიანური ეთიკა. ერთა ლიგას ნაბიჯები კი მთელ რიგ გადაწყვეტილებებში ამჟღავნებს კლასის ზნეობრივ კოტრებს მის კაციჭამიობას. ეს ბუნების კანონია. რამდენად ულმობელია სოციალური ცხოვრების განვითარების კანონი იმდენად მკაცრი და დაუნდობელია ბურჟუაზიის მხრივ ბრძოლა თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის. თვით ბურჟუაზიისაგან „სათნოებისა“ და „კაცთმოყვარეობის“ დიპლომით აღჭურვილი ლიგა არ მალავს კაპიტალისტთა თანამედროვე კაცის ჭამიურ მეთოდს მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს და ამის საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა დამშეულ რუსეთის დახმარების საკითხი.

ბუნების დიდი უსამართლობა ეწვია რუსეთს, ვოლგის ნაპირების დამშევით. რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანისა შიმშილის კლანჭებში მოიქცა და ლამის ჯერ არ ნახული საშინელებანი იხილოს „კულტურულმა“ კაცობრიობამ: უდანაშაულოთ დასჯილი ვოლგის რაიონის გლეხობა თავის სახელით დამშეულ ქალებისა და უმანკო ბავშვების სახელით მოუწოდებს ადამიანის სპეტაკს გრძნობას, თანაგრძნობით გამთბარს გულს დასახმარებლად. მაგრამ როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ბურჟუაზიას არ აღმოაჩნდა არც გული არც სული იმისათვის, რომ დავიწყებია კლასობრივი სხვაობა პოლიტიკური მომენტი და კაცთ-მოყვარე ხელით დაეხსნა ძუძუს მოკლებული ბავში და თვალჩამდგმული ერთდროს ვეკაცური შემოქმედების მქონე ვოლგის გუბ. გლეხობა. სამაგიეროდ მშრომელ ხალხზე ნადირობაში გაწვრთნილ ბურჟუაზიას აღმოაჩნდა უმაღლესად განვითარებული თვისი კლასობრივი ბუნება—ინგარიში. ბურჟუაზიის მორალის სალაროში—ერთა ლიგაშიაც კაცობრიობის უდიდეს კრიზისისა და კერძოთ რუსეთის დამშევის დროს ცივი დავთარისა მეტი არაფერი აღმოჩნდა. ერთა ლიგამ უარყო რაიმე დახმარების აღმოჩენა ვოლგის რაიონის დამშეულთათვის და ერთის ხელის ჩაქნევით ჩამოიხსნა პირმოთნეობისა და მეძავეობის ნიღაბი, რეზოლიუციაში ერთა ლიგამ გარკვევით განაცხადა რომ იგი სიკვდილის პირზე მდგარი საერთაშორისო მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური ტრესტია, რომელიც რამდენად დასასრულის დღეს უახლოვდება, იმდენად კარგავს ნორმალური დროის მყვლელთა ეთიკასაც კი და შემოდგომის ბუზივით მწარედ იკბინება. ამით აიხსნება გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებული რუსეთის დამშეულთა შესახებ ერთა ლიგის რეზოლიუციის აზრი. ნანსენის პროექტი ერთა ლიგის მიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ უარყოფილ იქმნა იმ მოტივით, რომ ოცი მილიონი მშიერის გადარჩენა „გაამაგრებს“ საბჭოთა მთავრობას. და როცა ნანსენმა აღნიშნა საშინელება ასეთი ველური პასუხისა მას უპასუხეს: „უმჯობესია მოწამე ვიყოთ მთელი რუსეთის ხალხის დაღუპვისა, ვიდრე „რისკი“ გავსწიოთ საბჭოთა მთავრობის გამაგრებითო“. აი, საუკეთესო მაგალითი ბურჟუაზიის კაცთმოყვარეობის დასამტკიცებლად. თუ გინდ ქვა-ქვაზე ნუ დარჩება ოღონდ საკუთარ ჯიბეს არარა ევნოს, ძველი თამასუქები განაღდებულ იქმნას—აი, ერთა ლიგის ჰუმანისტთა ლოდიკა და სიმართლეც. დიდი ბრიტანეთის დელეგატმა ფიშერმა კომისიას ურჩია: აჩქარება საჭირო არ არის, რადგან დიდი სახელმწიფონი აშკარად წინააღმდეგნი არიან რუსეთის სასარგებლოდ კრედიტის გაღებისა. ამ გვარად მუშათა კლასთან ბრძოლის დროს, ბურჟუაზიამ დაჰკარგა თავის შეკავების უნარიც და ტაქტიც ფილისტერული ზრახვების დამალვისა. მით უკეთესი მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელთათვის; მით უფრო გონს მოვა და განთავისუფლდება იგი ასეთი ერთა ლიგის მსგავსი ტომაგანდევრებულებისაგან, რომელნიც გადაიქცენ ბურჟუაზიის ბატონების საუკეთესო პირბადეებათ. მთელი ქვეყნის მუშათა კლასისათვის ცხადი უნდა იყოს ამიერიდან, რომ მსოფლიო ბურჟუაზია სძაგს რუსეთის საბჭოთა ძალა-უფლება არა იმიტომ, რომ რუსის ხალხისთვის მას უკეთესი მმართველობის ფორმები უნდა, არამედ იმიტომ, რომ მასში ხედავს გამოხატულებას მისი მოწინააღმდეგე კლასისას, რომ საბჭოთა მთავრობა მას წარმოდგენილი ყავს, როგორც მესაფლავე კაპიტალისტური წყობილებისა. რომ ეს ასე არ იყოს, კაპიტალისტური ტრესტების წარმომადგენელნი ერთა ლიგაში საჯაროთ არ იტყოდნენ: უმჯობესია მოწამე გავხდე მთელი რუსის ხალხის დაღუპვისა, ვიდრე „რისკი“ გავსწიოთ საბჭოთა მთავრობის გამაგრებისო“. სპეკულიაცია და ანგარიში ეკონომიკაში, სპეკულიაცია და ანგარიში პოლიტიკაში და ასე ყველგან შეიქმნა დამახასიათებელი თვისება მოშერებული კლასისა.

სამაგიეროთ ამ სპეკულიაციისა და ანგარიშის მესაფლავე მუშათა კლასის მიზანია, გადაარჩინოს კაპიტალისტურ ნანგრევებიდან უფაქიზესი გრძნობა სოლიდარობისა, უმშვენიერესი კმაყოფილების გაზიარება მოძმეთა დახმარებისა და საზოგადოთ კაცობრიული მორალის უმწიკვლოდ შენახვისა.

ეფ. ხაჩინოვლი.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

**განსახილველი საკითხები:**

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

## ანატოლიის ფრონტზე

გაზეთები გადმოგვცემენ უკანასკნელ ცნობებს ბერძენ-ოსმალეთის ომის შესახებ. ანგორის მთავრობის ოფიციალური ცნობით ოსმალეთის მთავარი შტაბი განაგრძობს სისტემატიურად ბერძნების ჯარების გარს შემოვლას, რომელიც იხევს ესკი-შეხირის მიმართულებით. დაჭერა სივრი გიოსარისა და წინსვლა ქემალისტების კოლონების მთის ყკირგის-დაგის მიმართულებით, სანდგაზის ახლოს, ბერძნებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. სექტემბრის ბოლო რიცხვების ცნობით, ოსმალეთის ნაციონალისტების ჯარმა მოიპოვა ახალი დიდი გამარჯვება ქალაქ სეიდ-გაზის დაჭერით; ბერძნების ჯარები სავსებით შემორტყმულია ოსმალებისაგან და უკან დასახევი გზები მოჭრილია. სულ უკანასკნელი ცნობები სავსებით ადასტურებენ სექტემბრის რადიოს და გადმოგვცემენ, რომ ოსმალთა ჯარის იერიშები ანატოლიაში გრძელდება ძველის ტემპით; ბერძენთა ჯარი უკან იხევს—რუსეთის გაზეთები აგრეთვე გადმოგვცემდნენ, რომ საბერძნეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგას სთხოვა შუამდგომლობა ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ; მეორეს მხრით ქემალ-ფაშამ იმავე დაწესებულებას განუცხადა, რომ ანგორა განაგრძობს ომს ბოლომდე ოსმალეთის დამოუკიდებლობისათვის.

ამ გვარად ჩვენს წინ მეტად საინტერესო ცნობები არის ახლო აღმოსავლეთის შესახებ. როგორც ვიცით, ბერძენთა წინმსვლელობას ანატოლიის ტერიტორიაზე დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ და ფიქრობდნენ, რომ საბერძნეთის საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობის ლიკვიდაცია და ახლო აღმოსავლეთში ანტანტის სრული ბატონობის განმტკიცება. მართალიც იყო დრო, როდესაც საბერძნეთის ჯარებმა დიდი ზიანი მიაყენეს ანატოლიის ურევოლიუციონერებს და მათი არსებობის დღეებს თითებზე სთვლიდნენ. ჩვენებური გოლოვინის პროსპექტის მეჭორეებიც კი დიდის იმედებით შესცქეროდნენ ბერძენთა მოძრაობას და დიდს „განმათავისუფლებელს“ მისიებს აწერდნენ საბერძნეთის ავანტიურისტებს. ყველას გვახსოვს მეჭორეების გალაღებული ფანტაზიის ნაყოფი: ბერძენთა დესანტი რიზეში გადმოსხეს, ბერძნები უკვე ახალციხის საზღვრებს მოადგნენ და სხ. მაგრამ ფანტაზია ფანტაზიად დარჩა და ბერძენთა წინსვლელობა ოსმალეთის ხალხის ნაციონალური თვითშეგნების ძლიერ სიმაგრეზე დაიმსხვრა და დღეს ეს „განმათავისუფლებელი“ ჯარები უკან გარბიან დამარცხებულნი. ილიუზიები გაჰქრა, ამ ჟამად ანატოლიის ამბების შესახებ აღარ ლაპარაკობენ და ჭორებსაც თანდათან გამოეცალა საფუძვლები.

რამ გამოიწვია პატარა და უძლური საბერძნეთის შესახებ ასეთი დიდი წარმოდგენა, რად აკუთნებდნენ საბერძნეთს ასეთს დიდ მისიებს? ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ საბერძნეთის როლი იმ დიდ მოძრაობაში, რომელიც ყოფილ ოსმალეთის ტერიტორიაზე ვითარდებოდა და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ძალთა განწყობილებაში.

საბერძნეთის ასეთი გადიდება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მის უკან დიდი ანტანტა იდგა და ის ასრულებდა, ტონსა და შინაარს საბერძნეთის მოქმედებას. საბერძნეთისა და ანტანტის ასეთი დებულება გამოწვეული იყო ანატოლიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით, სადაც ანტანტის საწინააღმდეგო რევოლუციურმა ძალამ დაიწყო მოქმედება. როგორც ვიცით საერთაშორისო ომის პროცესში დამარცხებულ ოსმალეთის იმპერიას მისთვის გამანადგურებელი საზავო პირობები წარმოუდგინეს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა, რომლის ძალითაც ოსმალეთი ნაწილდებოდა რამოდენიმე ნაციონალურ სახელმწიფოთ და თვით მისი დამოუკიდებლობისა, და სუვერენობის საკითხი უარყოფით იყო გადაწყვეტილი. სევრის საზავო პირობები, რომელიც წარუდგინეს გერმანიის დამხრობის შემდეგ ოსმალეთს, არსებითად სპობდა ოტომანის იმპერიის სუვერენულ არსებობას და მას ანტანტის სრულს საექსპლოატაციო ობიექტად ქმნიდა. ამ პირობებს ვერ შეურიგდა დიდი ნაწილი ოსმალეთის ნაციონალისტებისა და ამ გვარად ოსმალეთის ტერიტორიაზე თავი იჩინა ანტანტის საწინააღმდეგო ნაციონალურმა მოძრაობამ. ოსმალეთი თითქოს ორად გაიყო, ერთმა ნაწილმა მორჩილებით მოხარა თავი გაბატონებულ ანტანტის წინაშე და კონსტანტინეპოლის გადაცემით თავი ჩიდვა გამარჯვებულ მოძალადეების კალთაში. მეორე ნაწილმა, საგრძნობლად ძლიერმა და მრავალ რიცხოვანმა, შელახულ სამშობლოს ინტერესების დასაცავად იარაღს მოჰკიდა ხელი და ანტანტის მოძალადეების საწინააღმდეგოთ დიდი რევოლუციური ძალა შექმნა ანატოლიის მიდამოებში. ქემალ-ფაშა შეიქმნა ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მისი ხელმძღვანელი. ოსმალეთის თანამედროვე ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც აღმოცენდა განსაკუთრებით გამარჯვებულ ანტანტის საზავო პირობების წყალობით, ორი დიდი მიზანი ჰქონდა დასახული განსახორციელებლად: 1) დაცვა ოსმალეთის სუვერენობისა და დამოუკიდებლობის და 2) ხელუხლებლობა ოსმალეთის ტერიტორიისა, რომელსაც ყოველი მხრიდან გლეჯდნენ და ანაწილებდნენ. ანატოლიის მოძრაობამ დიდათ შეაფერხა ანტანტის გეგმების განხორციელება ახლო აღმოსავლეთში და დიდ საფრთხეში უგზავნიდა ინგლისის ბატონობას მთელს აზიაში. გამარჯვებული ინგლისის იმპერიალისტური გეგმები ძლიერ დიდ პრეტენზიებით გამოვიდა მთელ აღმოსავლეთში და ეგვიპტის, სირიის, მესოპოტამიის, სპარსეთის, ავღანისტანის ხელში ჩაგდებით სცდილობდა მთლიანი „ტერიტორიალური რკალი შეექმნა ინდოეთთან ერთად თავისი ბატონობის გასამტკიცებლად. სწორედ ამ გეგმებმა გამოიწვია ოსმალეთის დაშლისა და წვრილ სახელმწიფოებრივ ერთეულებად დანაწილების საჭიროება, მაგრამ ამ იმპერიალისტურ მიზნებს ოსმალეთშიკე გაუჩნდა რევოლუციური მოწინააღმდეგე, რომელმაც მიზანშეწონილად გამოიყენა საერთაშორისო კონიუნქტურა და მებრძოლი ძალები. როგორც ვიცით, ანტანტის იმპერიალისტურს პოლიტიკას მსოფლიოში დაუპირისპირდა საბჭოთა რუსეთი თავის რევოლიუციონური აქტებით და სოციალისტური გეგმებით. საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩამორჩენილ და დამონებულ კოლონიალურ ერების განთავისუფლებას აღმოსავლეთში, დიამეტრალურად დაუპირისპირდა ანტანტის აგრესიულს მიზნებს ამავე ტერიტორიალურ ერთეულებში, და ანატოლიის ნაციონალისტებმა ამ საერთაშორისო ძალთა ჭიდილში თავის მოკავშირედ რუსეთის რევოლიუციონერები აირჩიეს. ანატოლიის ნაციონალისტებს ერთი დიდი მომენტი აკავშირებდათ მოსკოვთან, ეს იყო ნაციონალური მომენტი: მოსკოვი სცდილობდა საერთოდ ევროპის იმპერიალიზმის ბატონობის მოსპობას აზიაში, ეს მომენტი სასარგებლო და ხელსაყრელი იყო ანგორის პოლიტიკისათვის, მაგრამ ანგორასა და მოსკოვს შორის სოციალურ სფეროში დიდი წინააღმდეგობა იყო... ანტანტისათვის ასეთი კავშირი დიდს საფრთხეს წარმოადგენდა და მან მოაწყო სცადა ანგორა დიპლომატიურის გზით თავის მხარეზე გადაებირა და მისი რუსეთისათვის დაპირის-

